



**აბაშის მუნიციპალიტეტის
პრიორიტეტების დოკუმენტი**

2022 – 2025 წლები

შინაარსი

თავი I. ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ.....	3
ისტორია.....	3
მდებარეობა	3
ფართობი.....	3
რელიეფი.....	4
მმართველობის ორგანოები.....	4
მოსახლეობა.....	5
ეკონომიკა	5
საჯარო დაწესებულებები.....	5
ღირშესანიშნაობები.....	5
ბიუჯეტი	6
თავი II. ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები.....	7
შემოსავლების და ხარჯების აგრეგირებული მაჩვენებელი 2020-2025 წლებში	7
შემოსულობები	7
გადასახდელები.....	7
ბიუჯეტის ბალანსი	9
2020-2021 წლების ბიუჯეტების მიმოხილვა.....	9
2020 წლის ბიუჯეტის შესრულება	9
2021 წლის ბიუჯეტის მიმოხილვა.....	13
თავი III. აბაშის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და პროგრამები საშუალოვადიან პერიოდში.....	16
ინფრასტრუქტურის განვითარება.....	16
დასუფთავება და გარემოს დაცვა.....	20
განათლება	21
კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი.....	23
მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	30
მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები.....	42

თავი I. ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ

ისტორია

ახლანდელი აბაშის მუნიციპალიტეტის ტერიტორია შუა საუკუნეებში შედიოდა ჯერ მოხირისში, შემდეგ სამოქალაქოში. XV საუკუნის 70-იან წლებში მისი დიდი ნაწილი უშუალოდ სამეგრელოს (ოდიშის) სამთავროში შევიდა, ის ნაწილი კი, რომელიც მდინარეების ნოღელისა და რიონის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს, საჭილაოს ეკუთვნოდა. საჭილაოს ცენტრი იყო სოფელი ტყვირი. XVI საუკუნეში საჭილაოს საზღვარი დასავლეთით ეკის მთამდე აღწევდა, ჩრდილოეთით - ბანძამდე, სამხრეთით - გურიის მთებამდე, ხოლო აღმოსავლეთით მდინარე გუბისწყალამდე. 1613 წლიდან საჭილაოს სადავო სოფლები (სამეგრელოსა და იმერეთს შორის) სამეგრელოს სამთავროში შევიდა. ამ დროიდან ტერიტორიას საჭილაოს ნაცვლად საჭყონდიდლო ეწოდა და ეს სახელწოდება შენარჩუნდა 1803 წლამდე. 1858 წლიდან, რუსეთის მიერ სამეგრელოს სამთავროს გაუქმების შემდეგ ეს ტერიტორია სენაკის მაზრაში შევიდა სუჯუნის საბოქაულოს სახით. 1930 წელს შეიქმნა აბაშის რაიონი, 1963 წლიდან აბაშას მიენიჭა ქალაქის სტატუსი. 2007 წლიდან აბაშის მუნიციპალიტეტი.

მდებარეობა



აბაშის მუნიციპალიტეტს ჩრდილოეთით ესაზღვრება მარტვილის, აღმოსავლეთით ხონისა და სამტრედიის, სამხრეთით სამტრედიისა და ლანჩხუთის, ხოლო დასავლეთით სენაკის მუნიციპალიტეტები. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადის თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო და სარკინიგზო

საერთაშორისო მნიშვნელობის მაგისტრალები. უახლოესი საზღვაო ნავსადგური: ქ.ფოთი. ქ.აბაშის ცენტრიდან - 45კმ; უახლოესი აეროპორტი: ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი - 30კმ.

ფართობი

აბაშის მუნიციპალიტეტის ფართობი შეადგენს 322.5 კმ² - ს. აქედან 207,74 კმ² სასოფლო — სამეურნეო დანიშნულებისაა, ტყეებს უჭირავს 16,31 კმ². მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოედინება მდინარეები რიონი, ცხენისწყალი და აბაშა; მცირე მდინარეებია: ნოღელა, კოვზა და ზანა. მუნიციპალიტეტის სამხრეთ ნაწილში, აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ მიედინება მდინარე რიონი, აბაშისა და სამტრედიის საზღვარზე მიედინება რიონის მარჯვენა შენაკადი მდინარე ცხენისწყალი, ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მდინარე აბაშა, რომელიც ერთვის ტეხურს.

რელიეფი



მუნიციპალიტეტში ნოტიო სუბტროპიკული ჰავაა. საშუალო წლიური ტემპერატურა 14°C. იანვრის ტემპერატურა 4.9°C, ივლისისა 27.0°C. აბსოლუტური მინიმუმი — 19°C, აბსოლუტური მაქსიმუმი — 39°C. ნალექების წლიური რაოდენობაა 1620 მმ.

აბაშის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში „სირიაჩქონის“ ჭაობია, რომელიც გურია-სამეგრელოს შორის რაიონისპირა ჭაობის გაგრძელებაა, გაყვანილია წყალსაწრეტი არხები.

ძირითადად გავრცელებულია ალუვიური კარბონატული ნიადაგი. ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში — სუბტროპიკული ეწერი, სამხრეთ-დასავლეთით, მდინარე რიონის მარცხენა სანაპიროზე, ჭაობიანი ნიადაგია. ძირითადი ლანდშაფტებია: 1. ვაკე-დაბლობი, კოლხური მცენარეულობით, ალუვიური და სუბტროპიკული ეწერი ნიადაგებით; 2. ჭალები მდელო-ტყის მცენარეულობით და ალუვიური ნიადაგებით.

მმართველობის ორგანოები

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი, საკანონმდებლო ორგანოა მუნიციპალიტეტის საკრებულო. აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულო შედგება 30 წევრისგან. მათგან 20 არჩეულია პროპორციული, ხოლო 10 მაჟორიტარული სისტემით. საკანონმდებლო ორგანოს ხელმძღვანელობს საკრებულოს წევრების მიერ არჩეული თავმჯდომარე, რომელსაც ჰყავს სამი მოადგილე. საკრებულოში შექმნილია და მუშაობს 5 კომისია, ესენია: იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია; საფინანსო-საბიუჯეტო კომისია; ინფრასტრუქტურის, ეკონომიკური და ქონების მართვის კომისია; სოციალური, განათლების და კულტურის საკითხთა კომისია და აგრარულ და მიწის საკითხთა კომისია.

აბაშის მუნიციპალიტეტში, ისევე როგორც საქართველოს ყველა სხვა მუნიციპალიტეტში აღმასრულებელი ხელისუფლებას ახორციელებს პირდაპირი წესით არჩეული მერი. მუნიციპალიტეტის მერი აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებს მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების (სამსახურები), მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასაწარმო, არაკომერციული იურიდიული პირებისა (ააიპ) და მუნიციპალური შპს-ის მეშვეობით.

აბაშის მუნიციპალიტეტში 16 ტერიტორიული ერთეულია, ესენია:

ადმინისტრაციული ერთეული აბაშა — ქალაქი აბაშა; ადმინისტრაციული ერთეული ნორიო — აბაშისპირი, მაცხოვრისკარი, ნორიო, საბოკუჩავო, საგვაზავო, მიგური; ადმინისტრაციული ერთეული სუჯუნა — ეწერი, სუჯუნა, წალიკარი; ადმინისტრაციული ერთეული მარანი — მარანი, მარანჭალა; ადმინისტრაციული ერთეული პირველი მაისი — გაუწყინარი, თხმელარი, პირველი მაისი, ქვიშანჭალა; ადმინისტრაციული ერთეული ქოლობანი — ბულვანი, გუგუნაყათი, ქოლობანი; ადმინისტრაციული ერთეული ტყვირი — ტყვირი, ცილორი; ადმინისტრაციული ერთეული ნაესაკოვო — გამოდმა კოდორი, ნაესაკოვო; ადმინისტრაციული ერთეული კეთილარი — გაღმა კოდორი, გულეიკარი, კეთილარი; ადმინისტრაციული ერთეული

ზანათი — გამოღმა ზანათი, გაღმა ზანათი; ადმინისტრაციული ერთეული სამიქაო — მაიდან, სამიქაო; ადმინისტრაციული ერთეული გეზათი — გეზათი, გულუხეთი; ადმინისტრაციული ერთეული ძველი აბაშა — ძველი აბაშა; ადმინისტრაციული ერთეული წყემი — წყემი; ადმინისტრაციული ერთეული ონტოფო — ონტოფო; ადმინისტრაციული ერთეული სეფიეთი — სეფიეთი.

მოსახლეობა

აბაშის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის რიცხოვნობა 2021 წლის მონაცემებით შეადგენს — 19 600 კაცს;

აბაშის მუნიციპალიტეტის მონაცემების შედარება ქვეყნისა და რეგიონის მონაცემებთან 2020 წლის მონაცემების მიხედვით		
დასახელება	მოსახლეობა	ფართობი (კვ. კმ)
სულ საქართველო	3,728.6	69,700
სამეგრელო ზემო სვანეთის რეგიონი	308.4	7,468.2
აბაშის მუნიციპალიტეტი	19.6	322.5
პროცენტი საქართველოსთან	0,005%	0,46%
პროცენტი რეგიონთან	0.06%	4,3%

ეკონომიკა

წამყვანი დარგია სოფლის მეურნეობა, მათ შორის მიწათმოქმედება და მეცხოველეობა. მისდევენ ასევე მემცენარეობას, მებოსტნეობა-მებაღეობას. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადის სამხრეთ კავკასიის რკინიგზის მაგისტრალი.

საჯარო დაწესებულებები

აბაშის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს სხვადასხვა საგანმანათლებლო, კულტურული და სპორტული დაწესებულებები. მათ შორისაა:

- ❖ 23 საჯარო სკოლა, სადაც სწავლობს 2700 მოსწავლე;
- ❖ 20 საბავშვო ბაღი - სააღმზრდელო პროცესს გადის 610 ბავშვი;
- ❖ 1 კულტურის სახლი - წრეების პროგრამებზე მონაწილეობს 105 აღსაზრდელი;
- ❖ 1 ხელოვნების სკოლა - წრეების პროგრამებზე მონაწილეობს 233 აღსაზრდელი;
- ❖ 1 მთავარი ბიბლიოთეკა, 17 სოფლის ბიბლიოთეკები და 5 სოფლის კლუბი
- ❖ 2 მუზეუმი: სიმონ ჩიქოვანისა და კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის მუზეუმი
- ❖ 1 სპორტული ცენტრი - სპორტის 11 სახეობას ეუფლება 230 ბავშვი;
- ❖ 1 საფეხბურთო კლუბი


ღირშესანიშნაობები

აბაშის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დგას V საუკუნის სეფიეთის მთავარანგელოზის სახელობის ეკლესია, ტყვირის მაცხოვრის სახელობის ეკლესია, სუჯუნის წმინდა გიორგის სახელობის XVII - XIX საუკუნის ეკლესია, ღვთისმშობლის შობის საკათედრო ტაძარი; კადარის ეკლესია, გულეიკარის წმინდა გიორგის სახელობის

ეკლესია; სიმონ ჩიქოვანის მუზეუმი; მწერალ-აკადემიკოს კონსტანტინე გამსახურდიას სახლ-მუზეუმი.

ბიუჯეტი

აბაშის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შეადგენს 13.8 მლნ ლარს. ეს მაჩვენებელი ერთ-ერთი საუკეთესოა მუნიციპალიტეტის ბოლო წლების ბიუჯეტების მაჩვენებლებს შორის. ბიუჯეტის შემოსულობების დაახლოებით ნახევარს (8.06 მლნ ლარი) მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსავლები შეადგენს. მათ შორის, აღსანიშნავია დამატებითი ღირებულების გადასახადი, რომელზეც საკუთარი შემოსავლების დიდი ნაწილი (5,7 მლნ ლარი) მოდის. არასაკუთარი შემოსავლები ძირითადად შედგება სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერისგან, რომელიც მუნიციპალიტეტს ყოველწლიურად გამოეყოფა ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად.



თავი II. ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

შემოსავლების და ხარჯების აგრეგირებული მაჩვენებელი 2020-2025 წლებში

შემოსულობები

2022 წლის ბიუჯეტის შემოსულობებთან შედარებით აბაშის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების სტრუქტურა 2023-2025 წლებში მნიშვნელოვნად არ იცვლება. გრანტების საპროგნოზო მაჩვენებლებში, სხვა შემოსავლების პროგნოზის გაანგარიშებისას ასევე მხედველობაში იქნა მიღებული ქვეყნის ეკონომიკური ზრდის არსებული პროგნოზები და ამ შემოსავლის სახეობებში ბოლო წლების არსებული ტენდენციები.

აბაშის მუნიციპალიტეტის შემოსულობები ძირითადი კატეგორიების მიხედვით 2020 – 2025 წლებში

დასახელება	ათასი ლარი					
	2020 ფაქტი	2021 გეგმა	2022 გეგმა	2023 პროგნოზი	2024 პროგნოზი	2025 პროგნოზი
შემოსულობები სულ	18,808.8	13,769.3	8,615.1	8,429.7	9,034.0	9,649.4
შემოსავლები	18,311.9	12,524.3	7,869.8	8,429.7	9,034.0	9,649.4
გადასახადები	5,886.4	6,715.6	7,453.8			
საშემოსავლო გადასახადი						
დამატებითი ღირებულების გადასახადი	4,803.4	5,715.6	6,453.8	7,015.2	7,604.5	8,212.9
ქონების გადასახადი	1,083.0	1,000.0	1,000.0	1,000.0	1,000.0	1,000.0
გრანტები	12,141.2	5,534.7	150.0	150.0	150.0	150.0
საერთაშორისო ორგანიზ. მიღებული გრანტები	4.4	90.0				
გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან	12,136.8	5,444.7				
გათანაბრებითი ტრანსფერი						
მიზნობრივი ტრანსფერი	581.5	343.1	150.0	150.0	150.0	150.0
კაპიტალური და სპეციალური ტრანსფერები	11,555.3	5,101.6				
რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი						
სხვა შემოსავლები	284.3	274.0	266.0	264.5	279.5	286.5
არაფინანსური აქტივების კლება	38.2		50.0			
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოყენება)						
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის დაგროვება)						

გადასახდელები

ბოლო წლებში არსებული სტრატეგიის შესაბამისად პრიორიტეტულ მიმართულებებზე მიმართული სახსრების ზრდამ შესაძლებელი გახადა ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარება, რითაც თავის მხრივ, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება, მუნიციპალიტეტში ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, კულტურისა და სპორტის სფეროების განვითარება.

ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით 2022-2025 წწ-ში მუნიციპალიტეტის სტრატეგია თითქმის უცვლელია და მოიცავს ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებას, მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებას, საზოგადოებრივი

უსაფრთხოების უზრუნველყოფას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას და სკოლამდელი განათლების ხელშეწყობას. აბაშის მუნიციპალიტეტის ძირითადი პრიორიტეტებია:

- ❖ ინფრასტრუქტურის განვითარება;
- ❖ დასუფთავება და გარემოს დაცვა;
- ❖ განათლება;
- ❖ კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი;
- ❖ მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.
- ❖ მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები.

აბაშის მუნიციპალიტეტის გადასახდელები პრიორიტეტების მიხედვით 2020 - 2025 წლებში

	<i>ათასი ლარი</i>					
დასახელება	2020 ფაქტი	2021 გეგმა	2022 გეგმა	2023 პროგნოზი	2024 პროგნოზი	2025 პროგნოზი
გადასახდელები სულ	18,808.8	13,769.3	8,615.1	8,429.7	9,034.0	9,649.4
ინფრასტრუქტურის განვითარება	10,854.0	6,812.7	1,187.1	1,060.0	1,663.0	1,944.4
დასუფთავება და გარემოს დაცვა	269.9	340.0	260.0	362.8	362.8	362.8
განათლება	3,290.2	1,714.2	1,300.0	1,610.4	1,610.4	1,610.4
კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	895.3	984.9	890.0	1,289.5	1,239.5	1,239.5
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	897.1	804.6	750.8	966.3	934.3	944.3
მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	2,602.3	3,112.9	4,227.2	3,140.7	3,224.0	3,548.0

ბიუჯეტის ბალანსი

აბაშის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

2020 – 2025 წლებში

ათას ლარში

დასახელება	2020 ფაქტი	2021 გეგმა	2022 გეგმა	2023 პროგნოზი	2024 პროგნოზი	2025 პროგნოზი
I. შემოსავლები	18,311.9	12,524.3	7,869.8	8,429.7	9,034.0	9,649.4
გადასახადები	5,886.4	6,715.6	7,453.8	8,015.2	8,604.5	9,212.9
გრანტები	12,141.2	5,534.7	150.0	150.0	150.0	150.0
სხვა შემოსავლები	284.3	274.0	266.0	264.5	279.5	286.5
II. ხარჯები	6,510.3	7,657.6	7,786.1	8,176.9	8,201.2	8,583.4
შრომის ანაზღაურება	1,751.1	1,846.4	2,971.5	1,965.8	2,049.1	2,219.9
საქონელი და მომსახურება	804.0	1,273.1	931.9	1,042.2	1,042.2	1,082.2
ძირითადი კაპიტალის მომსახურება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
პროცენტი	33.2	26.6	24.0	27.0	27.0	27.0
სუბსიდიები	3,170.1	3,741.8	3,162.2	4,229.9	4,202.9	4,364.3
გრანტები	3.9	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სოციალური უზრუნველყოფა	650.0	611.6	577.1	792.6	760.6	770.6
სხვა ხარჯები	98.0	158.1	119.4	119.4	119.4	119.4
III. საოპერაციო სალდო	11,801.6	4,866.7	83.7	252.8	832.8	1066.0
IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება	12,208.9	6,060.3	727.0	200.8	780.8	1,014.0
ზრდა	12,247.1	6,060.3	777.0	200.8	780.8	1,014.0
კლება	38.2	0.0	50.0	0.0	0.0	0.0
V. მთლიანი სალდო	-407.3	-1,193.6	-643.3	52.0	52.0	52.0
VI. ფინანსური აქტივების ცვლილება	-407.3	-1,245.0	-695.3	0.0	0.0	0.0
ზრდა	51.4	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სესხები	51.4	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
კლება	458.7	1,245.0	695.3	0.0	0.0	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სესხები	458.7	1,245.0	695.3	0.0	0.0	0.0
VII. ვალდებულებების ცვლილება	0.0	-51.4	-52.0	-52.0	-52.0	-52.0
კლება	0.0	51.4	52.0	52.0	52.0	52.0
საშინაო	0.0	51.4	52.0	52.0	52.0	52.0
სესხები						
სხვა კრედიტორული დავალიანებები						
VIII. ბალანსი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

2020 - 2021 წლების ბიუჯეტების მიმოხილვა

2020 წლის ბიუჯეტის შესრულება

2020 წელს აბაშის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობებმა შეადგინა 19 947.6 ათასი ლარი, მათ შორის გადასახადებმა 5,886.4 ათასი ლარი, გრანტებმა 12 136.8 ათასი ლარი, სხვა შემოსავლებმა 284.3 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების კლება 36.3 ათასი ლარი. 2019 წლის ბოლოს ნაშთმა შეადგინა - 1,597.6 ათასი ლარი.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერიდან 12 136.8 ათასი ლარიდან 10 854.0 ათ. ლარი მიიმართა ინფრასტრუქტურის ობიექტების დასაფინანსებლად, კერძოდ:

2020 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი 10 854.0 ათასი ლარიდან დაფინანსდა გზების მშენებლობა, სარწყავი არხების, ხიდე-ბოგირებისა და

ნაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობა რეაბილიტაცია, საკანალიზაციო გაყვანილობის რეაბილიტაცია, საჯარო სკოლების სარემონტო სამუშაოები, ამბულატორიების მშენებლობა - რეაბილიტაცია, გარე-განათების ქსელის მოწყობა, საზოგადოებრივ-საგანმანათლებლო ცენტრების მოწყობა, ადმინისტრაციული შენობების რემონტი, მარეგულირებელი შუქნიშნების მოწყობა, მდ. ცხენისწყლის მიმდებარედ საინფორმაციო ცენტრის მოწყობა და ქოლოზნის ტერიტორიაზე აგრობაზრის მოწყობა;

გარდა ამისა, სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსებიდან **127.2 ათ** ლარით განხორციელდა: ქ. აბაშაში სტიქიის შედეგად დაზიანებული სანიაღვრე არხებისა და ხიდე-ბოგირების მოწყობის სამუშაოები - **60 900 ლარი**; ქ.აბაშაში თავისუფლების ქუჩა N35 და N70 მრავალბინიანი საცხოვრებელი; ი სახლის სტიქიის შედეგად დაზიანებული სახურავების მოწყობის სამუშაოები - **26 200 ლარი**; სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით - **12 800 ლარი**; სოფ.ქოლოზანში სტიქიის შედეგად დანგრეული საავტომობილო ხიდის მოწყობა 2018 წელს მომხდარი სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით - **14 600 ლარი**;

აბაშის მუნიციპალიტეტში 2020 წელს განხორციელებული ძირითადი ინფრასტრუქტურული პროექტები:

სოფელ მაიდანში გზის მოწყობა მარტვილის მუნიციპალიტეტის საზღვრამდე - **665.6 ათ** ლარი; სოფელ ბულვანში გზის მოწყობა - **220.8 ათ** ლარი; ქალაქ აბაშაში შუბლამის ქუჩის მოწყობა (მინი სტადიონამდე) - **114.1 ათ** ლარი; ქალაქ აბაშაში შუბლამის ქუჩის პირველი შესახვევის მოწყობა - **166.6 ათ** ლარი; ნორიოს ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ საგვაზაოს ქუჩა N4 - ის მოწყობის სამუშაოები - **89.2 ათ** ლარი; სოფელ პირველ მაისში N3 ქუჩის მოწყობის სამუშაოები (პირველი მაისის ცენტრიდან N5 ქუჩის გავლით) - **284.3 ათ** ლარი; სოფელ პირველ მაისში N6 ქუჩის მოწყობის სამუშაოები (პირველი მაისის ცენტრიდან კუდაეწერის ბოლომდე) - **256.3 ათ** ლარი; სოფელ პირველ მაისში N7 ქუჩიდან N1 ქუჩამდე გზის მოწყობის სამუშაოები (პირველი მაისის ცენტრიდან გაუწყინარის სკოლის გავლით) - **192.6 ათ** ლარი; სოფ მარანში ცენტრალური ავტომაგისტრალიდან სოფ.ქოლოზნის საზღვრამდე გზის რეაბილიტაცია ასფალტო-ბეტონის საფარით - **1,040.7 ათ** ლარი; სოფ.ნორიოში ცენტრალური საავტომობილო მაგისტრალიდან მდ.აბაშის სანაპირომდე და ასევე მდ. ნოღელაზე არსებული ხიდის მიმდებარედ გზის ასფალტო-ბეტონით საფარით მოწყობის სამუშაოები - **38.2 ათ** ლარი; სამიქაო-მაიდანის ცენტრალური გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები - **1,010.9 ათ** ლარი; სოფ ქოლოზნიდან სოფ. გეზათის მიმართულებით (აუზებისა და ცაგურიების უბნის გავლით) გზის ასფალტო ბეტონის საფარით მოწყობა - **769.1 ათ** ლარი; ნორიოს ადმინისტრაციულ ერთეულში სოფ. აბაშისპირის ქუჩა N4 -ისა და სოფ ნორიოს N5 ქუჩის მოწყობა ასფალტო ბეტონით - **187.7 ათ** ლარი; სოფ. ნორიოში, ილიას ქუჩიდან სოფ სუჯუნაში საბაშვილების ბოგირამდე გზის მოწყობა ასფალტო ბეტონის საფარით - **412.0 ათ** ლარი; სოფ. ზანათში სადანელიოს უბანში N3 ქუჩის ასფალტო ბეტონის საფარით მოწყობის სამუშაოები - **272.5 ათ** ლარი; გამსახურდიას მე-4 შესახვევში გზის მოწყობა ასფალტო ბეტონის საფარით - **257.6 ათ** ლარი; თოფურას ქუჩის მოწყობა ასფალტო ბეტონის საფარით - **335.2 ათ** ლარი; დავით კაჭარავას პირველი შესახვევის და პაჭკორიას ქუჩების, დავით კაჭარავას პირველი და მეორე შესახვევის დამაკავშირებელი ქუჩის მოწყობა ასფალტო ბეტონის საფარით - **216.2 ათ** ლარი; ნინოშვილის მეორე შესახვევის, იოსელიანის ქუჩის დამაკავშირებელი გზის და ნინოშვილის მესამე შესახვევის მოწყობა ასფალტო ბეტონის საფარით - **178.9 ათ** ლარი; კილასონიას, ჩიქოვანის და ბზიავას ქუჩის ორმული შეკეთება და ასფალტო ბეტონის საფარის გადაკვრა - **147.0 ათ** ლარი; ქ.აბაშაში რკ. სადგურის მოედნის ასფალტო ბეტონის საფარის რეაბილიტაცია - **86.7 ათ** ლარი; სოფელ ზანათში შიდა გზის რეაბილიტაცია - **100.0 ათ** ლარი; კეთილარი-გულეივარის გზის რეაბილიტაცია - **387.2**

ათ ლარი; ნორიოს ადმინისტრაციულ ერთეულში ქუჩა N7 - ის ასფალტო ბეტონით მოწყობის სამუშაოები - **42.1 ათ** ლარი; ქალაქ აბაშაში ცანავას ქუჩის მოწყობა ასფალტო-ბეტონის საფარით თბილისი-სენაკი-ლესელიძის საერთაშორისო მაგისტრალამდე - **87.6 ათ** ლარი; სოფ. წყემში (ყოფილი სამონადირეო მეურნეობამდე) გზის ასფალტო-ბეტონის საფარით მოწყობა - **7.5 ათ** ლარი; ქ. აბაშაში ტროტუარების მოწყობის სამუშაოები - **15.8 ათ** ლარი; სოფ. მარანში, რკინიგზის გასწვრივ, საჯარო სკოლის გავლით, შიდასამიმოსვლო გზის მოწყობა ასფალტო-ბეტონით - **20.1 ათ** ლარი; ქ. აბაშაში აკაკის მე-5 შესახვევში გზის მოწყობა ასფალტო ბეტონით - **6.7 ათ** ლარი; შიდასამიმოსვლო გზების მოხრეშვა - **2.2 ათ** ლარი; საავტომობილო მაგისტრალის ქალაქ აბაშის მონაკვეთზე მარეგულირებელი შუქნიშნების და ერთი ქვეითთა გადასასვლელის მოწყობის სამუშაოები - **107.5 ათ** ლარი; 15 ადმინისტრაციულ ერთეულში საზოგადოებრივ-საგანმანათლებლო ცენტრის მშენებლობის, ადმინისტრაციულ შენობებში რემონტისა და ქალაქ აბაშაში კვათანის უბანში არსებული შენობის სარემონტო სამუშაოები - **268.5 ათ** ლარი; აბაშის მუნიციპალიტეტის შემოსასვლელში მდ. ცხენისწყლის მიმდებარედ საინფორმაციო ცენტრის მოწყობის სამუშაოები - **583.0 ათ** ლარი; აბაშის მუნიციპალიტეტის სოფ. ქოლოზნის ტერიტორიაზე ავტომაგისტრალის მიმდებარედ აგრობაზრის მოწყობის სამუშაოები - **111.6 ათ** ლარი; 15 ადმინისტრაციულ ერთეულში საზოგადოებრივ-საგანმანათლებლო ცენტრის მშენებლობის, ადმინისტრაციულ შენობებში რემონტისა და ქალაქ აბაშაში კვათანის უბანში არსებული შენობის სარემონტო სამუშაოებისთვის, ქ. აბაშაში მრავალბინიან სახლებში საკანალიზაციო გაყვანილობის რეაბილიტაციისთვის და ქალაქ აბაშაში მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების ფასადების შეკეთება რეკონსტრუქციის სამუშაოებისთვის - **13.5 ათ** ლარი; გარე განათების ქსელის მოწყობის სამუშაოები - **244.5 ათ** ლარი; აბაშის მუნიციპალიტეტში სანიაღვრე არხების ამოწმენდის და ხიდე-ბოგირების მოწყობის სამუშაოები - **81.8 ათ** ლარი; სოფლის მხარდაჭერის პროგრამა დაფინანსდა - **507.7 ათ** ლარით; სოფ: ზანათის, სეფიეთის, მაიდნის, ტყვირის და ქოლოზნის საჯარო სკოლების სარემონტო სამუშაოები - **329.6 ათ** ლარი; ქალაქ აბაშის I და II საჯარო სკოლები, სოფ: პირველი მაისის, მარნის, გეზათის, ონტოფოს, ნოლოხაშის, ძვ. აბაშის, კვათანის, ნაესაკოვოს, საგვაზაოს, კეთილარის, სამიქაოს, სუჯუნის, გაუწყინარის, წყემის და ეწერის საჯარო სკოლების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო ღირებულება - **46.4 ათ** ლარი; სოფ: პირველი მაისის, მარნის, გეზათის, ონტოფოს, ნოლოხაშის, ძვ. აბაშის, კვათანის და ნაესაკოვოს საჯარო სკოლების სარემონტო სამუშაოები - **959.8 ათ** ლარი; საგვაზაოს, კეთილარის, ქ. აბაშის II, სამიქაოს, სუჯუნის, გაუწყინარის, წყემის, ქ. აბაშის I და ეწერის საჯარო სკოლების სარემონტო სამუშაოები - **693.6 ათ** ლარი; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საექიმო ამბულატორიების მშენებლობა-რეაბილიტაცია - **195.5 ათ** ლარი;

აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ განხორციელდა აბაშის მუნიციპალიტეტის 2019 წლის შემდეგი სოციალური პროგრამები:

1. სოციალურად დაუცველი, მარტოხელა და შეჭირვებული მოსახლეობის უფასო კვება.

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 66.0 ათასი ლარით, პროგრამით სულ ისარგებლა 50 ბენეფიციარმა, პროგრამით გახარჯულია 60.8 ათასი ლარი. პროგრამის მიზანია: აბაშის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უმწეო მდგომარეობაში მყოფი სხვადასხვა კატეგორიის ბენეფიციარებისთვის უფასო კვება, მათ შორის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული იძულებით გადაადგილებული პირები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ერთიან ბაზაში და მინიჭებული აქვთ სარეიტინგო ქულა 0-დან 70 000-მდე.

2. სტიქიური უბედურების (ხანძარი და ქარიშხალი) შედეგად დაზარალებულთა დახმარება.

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 7.5 ათასი ლარით, პროგრამით სულ ისარგებლა 12 ოჯახმა, გახარჯულია 5.0 ათასი ლარი, პროგრამის მიზანია: სტიქიით (ხანძარი, ქარი, წყალდიდობა) დაზარალებულთა დახმარება, მათი ზიანის ნაწილობრივი ანაზღაურება

რათა მათ მოახდინონ საცხოვრებლის რეაბილიტაცია და შეძლონ საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება.

3. დედ-მამით ობოლი ბავშვების (0-დან 18 წლის ასაკამდე) დახმარების პროგრამა.

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 0.9 ათასი ლარით, პროგრამით სულ ისარგებლა 2 ბენეფიციარმა, პროგრამით გახარჯულია 0.6 ათასი ლარი; პროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტში მცხოვრები დედ-მამით ობოლი ბავშვების სოციალური და ყოფითი პირობების გაუმჯობესება.

4. მარჩენალდაკარგულ ბავშვთა ოჯახების დახმარების პროგრამა.

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 20.1 ათასი ლარით, 130 ბენეფიციარი, პროგრამით გახარჯულია 19.5 ათასი ლარი, პროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მარჩენალდაკარგული ბავშვების (0-18) წლამდე ხელშეწყობა.

5. ომის ვეტერანების დახმარების პროგრამა.

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 37.0 ათასი ლარით, პროგრამით სულ ისარგებლა 216 ბენეფიციარმა, პროგრამით გახარჯულია 36.3 ათასი ლარი. პროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ომის ვეტერანების ხელშეწყობა, კერძოდ: საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულ მებრძოლთა ოჯახების დახმარება.

6. სამშობლოს დაცვისას დაღუპული და ომის შედეგად გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის ხარჯები (ვეტერანთა სარიტუალო ხარჯი).

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 2.5 ათასი ლარით, პროგრამით სულ ისარგებლა 1 ოჯახმა, პროგრამით გახარჯულია 0.3 ათასი ლარი. პროგრამის მიზანია: რეგისტრირებული გარდაცვლილი ვეტერან ოჯახზე დასაფლავების ხარჯების გაწევა

7. გარდაცვლილ იძულებით გადაადგილებულ პირთა ოჯახების დახმარების პროგრამა.

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 4.0 ათასი ლარით, პროგრამით სულ ისარგებლა 8 ბენეფიციარმა, პროგრამით გახარჯულია 1.6 ათასი ლარი. პროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული იძულებით გადაადგილებულ პირთა ოჯახებზე დასაფლავების ხარჯების გაწევა.

8. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების (0-დან 18 წლის ასაკამდე) დახმარების პროგრამა.

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 9.0 ათასი ლარით, პროგრამით სულ ისარგებლა 42 ბენეფიციარმა, პროგრამით გახარჯულია 8.4 ათასი ლარი. პროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტში შშმ ბავშვების დახმარება, რომლებიც მუდმივად საჭიროებენ მზრუნველობას, მკურნალობას.

9. ყრუ - მუნჯებისა და ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურზე ავარიული სიტუაციების შედეგების ლიკვიდაციის მონაწილეების დახმარების პროგრამა.

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 3.0 ათასი ლარით, პროგრამით სულ ისარგებლა 13 ბენეფიციარმა, პროგრამით გახარჯულია 2.6 ათასი ლარი. პროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული იმ ბენეფიციარების დახმარება, რომლებიც არიან ყრუ-მუნჯები და ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურზე ავარიული სიტუაციების შედეგების ლიკვიდაციის მონაწილეები.

10. დიალიზის პროგრამაში მონაწილე ავადმყოფთა მგზავრობის მხარდაჭეის პროგრამა

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 25.7 ათასი ლარით, პროგრამით სულ ისარგებლა 15 ბენეფიციარმა, პროგრამით გახარჯულია 25.6 ათასი ლარი. პროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული იმ ბენეფიციარების ტრანსპორტირების ხარჯები, რომლებიც სარგებლობენ ჰემოდიალიზის სახელმწიფო პროგრამით.

11. მკვეთრად გამოხატული I ჯგუფის შეზრუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირთა დახმარების პროგრამა.

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 37.0 ათასი ლარით, პროგრამით სულ ისარგებლა 182 ბენეფიციარმა, პროგრამით გახარჯულია 36.4 ათასი ლარი. პროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მკვეთრად გამოხატული შშმ პირებზე ერთჯერადი ფულადი დახმარების გაწევა.

12. მრავალშვილიანი ოჯახების სამი და მეტი შვილი (0-18 წლის ასაკამდე) ოჯახისათვის დახმარება.

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 110.0 ათასი ლარით, პროგრამით სულ ისარგებლა 1088 ბენეფიციარმა, პროგრამით გახარჯულია 108.8 ათასი ლარი. პროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტში მცხოვრები მრავალშვილიანი ოჯახებზე მატერიალური დახმარების გაწევა.

13. 100 წლის და 100 - ზე მეტი ასაკის უხუცესთა დახმარება

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 1.0 ათასი ლარით, პროგრამით სულ ისარგებლა 1 ბენეფიციარმა, პროგრამით გახარჯულია 1.0 ათასი ლარი. პროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 100 წელს გადაცილებული პირების წელიწადში ერთჯერ ფულადი დახმარება.

14. ახალშობილთა ოჯახების დახმარების პროგრამა

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 27.0 ათასი ლარით, პროგრამით სულ ისარგებლა 126 ბენეფიციარმა, პროგრამით გახარჯულია 25.6 ათასი ლარი. პროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტში ახალშობილთა ოჯახების წელიწადში ერთჯერ ფულადი დახმარება.

15. სოციალურად დაუცველი გარდაცვლილი ბენეფიციარების ოჯახების დახმარების პროგრამა

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 4.0 ათასი ლარით, პროგრამით სულ ისარგებლა 12 ბენეფიციარმა, პროგრამით გახარჯულია 3.0 ათასი ლარი. პროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტში სოციალურად დაუცველი გარდაცვლილი ბენეფიციარების ოჯახების წელიწადში ერთჯერ ფულადი დახმარება.

2021 წლის ბიუჯეტის მიმოხილვა

2021 წელს დაგეგმილია აბაშის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები 13 768.6 ათასი ლარი, მათ შორის გადასახადები 6,715.6 ათასი ლარი, გრანტები 5,534.0 ათასი ლარი, სხვა შემოსავლები 274.0 ათასი ლარი, ნაშთი 1,245.0 ათასი ლარი.

2021 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი 5,534.0 ათასი ლარიდან ფინანსდება საგზაო ინფრასტრუქტურა, ბინათმშენებლობა, გარე განათების მოწყობა-რეაბილიტაცია, სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობა-რეაბილიტაცია, სოფლის მხარდაჭერის პროგრამა, კეთილმოწყობის ღონისძიებები, საჯარო სკოლების სარემონტო სამუშაოები.

აბაშის მუნიციპალიტეტში 2021 წელს განხორციელებული ძირითადი ინფრასტრუქტურული პროექტები:

აბაშის მუნიციპალიტეტის სოფ. გამოლმა ზანათში არკის მოწყობის სამუშაოები - **9.1** ათ ლარი; აბაშის მუნიციპალიტეტში სოფ. გამოლმა ზანათში სასაფლაოს მიმდებარედ N8 ქუჩისა და შესახვევის მოწყობა ასფალტო-ბეტონის საფარით - **233.1** ათ ლარი; ქალაქის აბაშაში გზების ორმული შეკეთება - **957.8** ათ ლარი; აკაკის პირველი და მეორე შესახვევის მოწყობა ასფალტო-ბეტონის საფარით - **151.4** ათ ლარი; რუსთაველის პირველი შესახვევის მოწყობა ასფალტო-ბეტონის საფარით - **161.5** ათ ლარი; აბაშის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი მნიშვნელობის გზების ორმული შეკეთება - **366.7** ათ ლარი; ნორიოს ადმინისტრაციულ ერთეულში ქუჩა N7-ის, კეთილირი- გულიეკარის გზის და ცანავას ქუჩის მოწყობის სამუშაოები - **15.5** ათ ლარი; აბაშის მუნიციპალიტეტში საავტომობილო მაგისტრალის ქალაქ აბაშის მონაკვეთზე მარეგულირებელი შუქნიშნების და ერთი ქვეითთა გადასასვლელის მოწყობის სამუშაოები - **2.8** ათ ლარი; აბაშის მუნიციპალიტეტის შემოსასვლელში მდ. ცხენისწყლის მიმდებარედ საინფორმაციო ცენტრის მოწყობის სამუშაოები - **565.5** ათ ლარი; აბაშის მუნიციპალიტეტში ადმინისტრაციული შენობების, სოფ. სუჯუნის კულტურის სახლის და ქ. აბაშაში თავისუფლების ქ. N102 ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის სარემონტო სამუშაოები - **99.3** ათ ლარი; აბაშის მუნიციპალიტეტის სოფ. ქოლობნის ტერიტორიაზე ავტომაგისტრალის მიმდებარედ აგრობაზრის მოწყობის სამუშაოები - **82.4** ათ ლარი; აბაშის მუნიციპალიტეტის 15 ადმინისტრაციულ ერთეულში საზოგადოებრივ-საგანმანათლებლო ცენტრის მშენებლობის, ადმინისტრაციულ შენობებში რემონტისა და ქალაქ აბაშაში კვათანის უბანში არსებული შენობის სარემონტო სამუშაოები - **14.0** ათ ლარი; აბაშის მუნიციპალიტეტის შემოსასვლელში მდ. ცხენისწყლის მიმდებარედ საინფორმაციო ცენტრის მოწყობის სამუშაოები - **31.4** ათ ლარი; აბაშის მუნიციპალიტეტში გარე-განათების მოწყობის სამუშაოები - **1 314.2** ათ ლარი; ქ. აბაშაში ნოლოხაშის უბანში შუბლამის ქუჩის გასწვრივ რკინა-ბეტონის სანიაღვრე არხისა და შემოღობვის მოწყობის სამუშაოები - **96.7** ათ ლარი; აბაშის მუნიციპალიტეტში სანიაღვრე არხების ამოწმენდისა და ხიდე-ბოგირების მოწყობის სამუშაოების განსახორციელებლად - **35.7** ათ ლარი; სოფლის მხარდაჭერის პროგრამის სხვადასხვა ღონისძიებების დაფინანსებისათვის - **372.7** ათ ლარი; საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით, საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოების შეყიდვის დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით - **42.9** ათ ლარი

აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ განხორციელდა აბაშის მუნიციპალიტეტის 2020 წლის შემდეგი სოციალური პროგრამები:

1. სოციალურად დაუცველი, მარტოხელა და შეჭირვებული მოსახლეობის უფასო კვება

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 72.0 ათასი ლარით (სულ 50 ბენეფიციარი), პროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უმწეო მდგომარეობაში მყოფი სხვადასხვა კატეგორიის ბენეფიციარებზე უფასო კვება, მათ შორის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული იძულებით გადაადგილებული პირები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ერთიან ბაზაში და მინიჭებული აქვთ სარეიტინგო ქულა 0-დან 70 000-მდე.

2. სტიქიური უბედურების (ხანძარი და ქარიშხალი) შედეგად დაზარალებულთა დახმარება.

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 30.0 ათასი ლარით (სულ 12 ოჯახი), პროგრამის მიზანია: სტიქიით (ხანძარი, ქარი, წყალდიდობა) დაზარალებულზე დახმარება, მათი ზიანის ნაწილობრივი ანაზღაურება, რათა მათ მოახდინონ საცხოვრებლის რეაბილიტაცია და შეძლონ საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება.

3. დედ-მამით ობოლი ბავშვების (0-დან 18 წლის ასაკამდე) დახმარების პროგრამა.

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 1.8 ათასი ლარით (სულ 6 ბენეფიციარი), პროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტში მცხოვრები დედ-მამით ობოლი ბავშვების სოციალური და ყოფითი პირობების გაუმჯობესება.

4. მარჩენალდაკარგულ ბავშვთა ოჯახების დახმარების პროგრამა

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 21.0 ათასი ლარით (სულ 140 ბენეფიციარი), პროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მარჩენალდაკარგული ბავშვების (0-18) ხელშეწყობა. ერთჯერადი დახმარების გაწევა.

5. ომის ვეტერანების დახმარების პროგრამა.

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 38.0 ათასი ლარით (სულ 233 ბენეფიციარი), პროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ომის ვეტერანების ხელშეწყობა, კერძოდ: საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულ მებრძოლთა ოჯახების დახმარება.

6. სამშობლოს დაცვისას დაღუპული და ომის შედეგად გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის ხარჯები (ვეტერანთა სარიტუალო ხარჯი)

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 2.5 ათასი ლარით (სულ 10 ოჯახი), პროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული გარდაცვლილი ვეტერანი ოჯახზე დასაფლავების ხარჯების გაწევაში მატერიალური თანადგომა.

7. გარდაცვლილ იძულებით გადაადგილებულ პირთა ოჯახების დახმარების პროგრამა.

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 4.0 ათასი ლარით (სულ 20 ოჯახი), პროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული იძულებით გადაადგილებულ პირთა ოჯახებზე დასაფლავების ხარჯების გაწევაში მატერიალური თანადგომა.

8. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების (0-დან 18 წლის ასაკამდე) დახმარების პროგრამა.

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 10.0 ათასი ლარით (სულ 50 ბენეფიციარი), პროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტში შშმ ბავშვების დახმარება, რომლებიც მუდმივად საჭიროებენ მზრუნველობას, მკურნალობას.

9. ყრუ - მუნჯებისა და ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურზე ავარიული სიტუაციების შედეგების ლიკვიდაციის მონაწილეების დახმარების პროგრამა.

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 4.0 ათასი ლარით (სულ 20 ბენეფიციარი), პროგრამის მიზანია: აბაშის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული იმ ბენეფიციარების დახმარება, რომლებიც არიან ყრუ-მუნჯები და ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურზე ავარიული სიტუაციების შედეგების ლიკვიდაციის მონაწილეები.

10. დიალიზის პროგრამაში მონაწილე ავადმყოფთა მგზავრობის მხარდაჭერის პროგრამა

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 35.3 ათასი ლარით (სულ 15 ბენეფიციარი), პროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული იმ ბენეფიციარების ტრანსპორტირების ხარჯები, რომლებიც სარგებლობენ ჰემოდიალიზის სახელმწიფო პროგრამით.

11. მკვეთრად გამოხატული I ჯგუფის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირთა დახმარების პროგრამა.

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 38.0 ათასი ლარით (სულ 190 ბენეფიციარი), პროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მკვეთრად გამოხატული შშმ პირებზე ერთჯერადი ფულადი დახმარების გაწევა.

12. მრავალშვილიანი ოჯახების სამი და მეტი შვილი (0-18 წლის ასაკამდე) ოჯახისათვის დახმარება.

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 106.0 ათასი ლარით (სულ 1060 ბენეფიციარი), პროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტში მცხოვრები მრავალშვილიანი ოჯახებზე მატერიალური დახმარების გაწევა.

13. 100 წლის და 100+ - ზე მეტი ასაკის უზუცესთა დახმარება.

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 2.0 ათასი ლარით (სულ 2 ბენეფიციარი), პროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 100 წელს გადაცილებული პირების წელიწადში ერთჯერადი ფულადი დახმარება.

14. ახალშობილთა ოჯახების დახმარების პროგრამა

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 35.0 ათასი ლარით (სულ 245 ბენეფიციარი), პროგრამის მიზანია: ახალშობილთა ერთჯერადი ფულადი დახმარება.

15. თავშესაფარის გარეშე დარჩენილი ოჯახების დროებითი საცხოვრებლის ბინის ქირით უზრუნველყოფის პროგრამა

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 8.0 ათასი ლარით, პროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე თავშესაფარის გარეშე დარჩენილი ოჯახები ან პირი, რომელთა საცხოვრებელი სახლი, სტიქიური უბედურების, უბედური შემთხვევის და სხვა გარემოებების გამო დაინგრა, დაიწვა ან საცხოვრებლად უვარგისი, ავარიული ან სიცოცხლისთვის საშიში გახდა. ასევე პირები რომლებიც გახდნენ ძალადობის მსხვერპლნი.

16. სოციალურად დაუცველი გარდაცვლილი ბენეფიციარების ოჯახების დახმარების პროგრამა

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 5.0 ათასი ლარით (სულ 20 ბენეფიციარი), პროგრამის მიზანია: სოციალურად დაუცველი ოჯახების მატერიალური და მორალური მხარდაჭერა.

თავი III. აბაშის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და პროგრამები საშუალოვადიან პერიოდში

ინფრასტრუქტურის განვითარება

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია, გარე განათების ქსელის განვითარება და მუნიციპალიტეტში სხვა აუცილებელი კეთილმოწყობის ღონისძიებების დაფინანსება. პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება როგორც ახალი ინფრასტრუქტურის მშენებლობა, ასევე, არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	დასახელება	2020 ფაქტი	2021 გეგმა	2022 გეგმა	2023 პროგნოზი	2024 პროგნოზი	2025 პროგნოზი
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	10,854.0	6,812.7	1,187.1	1,060.0	1,663.0	1,944.4
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	7,772.0	2,052.1	7.1		150.0	150.0
02 01 01	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა	7,664.4	2,049.4			100.0	100.0
02 01 02	საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება	107.6	2.7	7.1		50.0	50.0
02 02	ბინათმშენებლობა	1,005.6	967.7			30.0	50.0
02 03	გარე განათების მოწყობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	244.5	1,735.0				
02 04	საკანალიზაციო სისტემების მოწყობა-რეაბილიტაცია	0.0					
02 05	სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობა-რეაბილიტაცია	153.8	153.8				
02 06	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	507.5	577.9				100.0
02 07	მუნიციპალიტეტში კეთილმოწყობის ღონისძიებები	910.7	1,012.2	580.0	860.0	883.0	1,044.4
02 07 01	სკვერების მოწყობის ღონისძიებები	0.0					
02 07 02	კეთილმოწყობის ღონისძიებები	910.7		580.0	860.0	883.0	1,044.4
02 07 02 01	ქალაქის გარე განათება	261.6	349.5	300.0	360.0	383.0	360.0
02 07 02 02	კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებები	649.1	662.7	280.0	500.0	500.0	684.4
02 08	რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსება	0.0	0.0	300.0	0.0	300.0	300.0
02 09	ტურიზმი	0.0	0.0				
02 10	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა	259.9	314.0	300.0	200.0	300.0	300.0

პროგრამის დასახელება	კოდი	საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება	2022 წლის დაფინანსება (ათას ლარში)	დაფინანსება 2023-2025 წლებზე (ათას ლარში)
	02 01 02		7.1	100.0
პროგრამის განმახორციელებელი	მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახური;			

პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამა ითვალისწინებს მაღალ ტექნოლოგიური მონაცემების მქონე ჰეკვიანი და ზოგადი კამერების მოვლა-შენახვას
მოსალოდნელი შედეგი	მოწესრიგებული და უსაფრთხო საგზაო მოძრაობა

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ქალაქის გარე განათება	2022 წლის დაფინანსება (ათას ლარში)	დაფინანსება 2023-2025 წლებზე (ათას ლარში)
	02 07 02 01		300.0	1,103.0

ქვეპროგრამის განმახორციელებელი	აბაშის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „აბაშის კეთილმოწყობა“
--------------------------------	---

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>დამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გარე განათებას. შესაბამისად საჭიროა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულის გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირება, მისი პერიოდული შეკეთება. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს ქ. აბაშაში, ასევე 15 ადმინისტრაციულ ერთეულში (დასახლებულ პუნქტში). ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია, რომელიც მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს:</p> <ul style="list-style-type: none"> • მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ქსელში მწყობრიდან გამოსული ნათურების გამოცვლა, • ამორტიზებული და დაზიანებული განათების ბოძების შეკეთება, ახლით ჩანაცვლება, • დაზიანებული სადენების აღდგენა, შეკეთება. პროგრამა ასევე მოიცავს გარე განათების ქსელის მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის ხარჯის ანაზღაურებას (ერთ წელში 280.0 ათასი ლარი).
-------------------------------	---

მოსალოდნელი შედეგი	მთელი წლის მანძილზე გარე განათების სისტემა ფუნქციონირებს გამართულად. პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხების აღმოფხვრა მოხდება ოპერატიულად, პროგრამის მიზანს ასევე წარმოადგენს მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის სრულად მოცვა გარე განათებით
--------------------	---

შედეგის შეფასების ინდიკატორი	#	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	განმარტება
	შედეგის შეფასების ინდიკატორი	1	შეკეთებული სანათების რაოდენობა	საშუალოდ ხდება წლის განმავლობაში 70 ცალი	300 ცალი	10 % წინასწარ ზუსტი განსაზღვრა შეუძლებელია. გაანგარიშება გაკეთებულია წინა წლების მაჩვენებლის მიხედვით
2		შეკეთებული ბოძების რაოდენობა	საშუალოს ხდება წლის განმავლობაში 20 ცალი	100 ცალი	11 % წინასწარ ზუსტი განსაზღვრა შეუძლებელია. გაანგარიშება გაკეთებულია წინა წლების მაჩვენებლის მიხედვით	
3		შეკეთებული რაოდენობა		2022-2025 წელში შეიცვლება 4000 გრმ/მეტრი	0%	ქსელი საჭიროებს მეტი სადენის შეცვლას. 4000 გრმ/მეტრი შეიცვლება არსებული ფინანსური რესურსის ფარგლებში.

პროგრამის დასახელება	კოდი	კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებები	2022 წლის დაფინანსება (ათას ლარში)	დაფინანსება 2023-2025 წლებზე (ათას ლარში)	
	02 07 02 02		280.0	1,684.4	
პროგრამის განმახორციელებელი	აბაშის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „აბაშის კეთილმოწყობა“				
პროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ცენტრისა და შემოგარენის გალამაზება, კეთილმოწყობა. გამწვანების ზოლში ყვავილებისა და სხვა დეკორატიული მცენარეების განაშენიანება. სასაფლაოების მოვლა პატრონობა.				
მოსალოდნელი შედეგი	ქალაქისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოხდება ნარგავების მორწყვა და ნიადაგის გაფხვიერება, განხორციელდება ქალაქისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერების და გზების ნაპირების გაცელვითი სამუშაოები, რამდენიმე ეტაპად შეიწამლება და გაითიბება სასაფლაოების ტერიტორიები.				
შედეგის შეფასების ინდიკატორი	#	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)
	1	ძელსკამების მოწყობა	52	70	2%
	2	მწვანე ნარგავების მოწყობა	200	400	5%
	3	დეკორატიული მცენარეებით სკვერების გალამაზება	30	150	3%

პროგრამის დასახელება	კოდი	რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსება	2022 წლის დაფინანსება (ათას ლარში)	დაფინანსება 2023-2025 წლებზე (ათას ლარში)
	02 08		300.0	600.0
პროგრამის განმახორციელებელი	მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური			
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში განხორციელდება რეგიონის განვითარების ფონდიდან გამოყოფილი ინფრასტრუქტურული პროექტების თანადაფინანსება			
მოსალოდნელი შედეგი	ქალაქის ინფრასტრუქტურის განვითარება			

პროგრამის დასახელება	კოდი	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა	2022 წლის დაფინანსება (ათას ლარში)	დაფინანსება 2023-2025 წლებზე (ათას ლარში)
	02 10		300.0	800.0
პროგრამის განმახორციელებელი	მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური			

პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა; ასევე ფინანსდება ინფრასტრუქტურული პროექტების ტექნიკური ზედამხედველობის შესყიდვა</p> <p>მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის დროულად და კვალიფიციურად მოხდეს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა, ასევე ჩატარებული სამუშაოების ხარისხის უზრუნველყოფა მათზე მუდმივი ზედამხედველობის განხორციელების მიზნით.</p>
მოსალოდნელი შედეგი	<p>ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დროულად და კვალიფიციურად მომზადება. შესრულებული ინფრასტრუქტურული პროექტების მაღალი ხარისხი, ისე რომ იგი აკმაყოფილებს პროექტით განსაზღვრულ და ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სამშენებლო ნორმებს (სტანდარტებს)</p>

დასუფთავება და გარემოს დაცვა

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარემოს დასუფთავება და ნარჩენების გატანა, მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება, აღნიშნულთან დაკავშირებული ხარჯები, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის დასუფთავება, ნარჩენების გატანა, მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა. შესაბამისად ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქალაქის სანიტარული წესრიგის შენარჩუნება და გაუმჯობესება; ნარჩენების სრული იზოლირება მოსახლეობისა და გარემოსაგან; მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა; ქალაქის ტერიტორიის კეთილმოწყობითი და გამწვანებითი სამუშაოები. ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავების დარგვა, სკვერებში ბალახის გათიბვა ქალაქისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

ათას ლარში

პროგრამული კოდი	დასახელება	2020 ფაქტი	2021 გეგმა	2022 გეგმა	2023 პროგნოზი	2024 პროგნოზი	2025 პროგნოზი
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	269.9	340.0	260.0	362.8	362.8	362.8
03 01	ქალაქის დასუფთავება	269.9	340.0	260.0	362.8	362.8	362.8
03 02	მწვანე ნარგავების შექმნა						

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ქალაქის დასუფთავება	2022 წლის დაფინანსება (ათას ლარში)	დაფინანსება 2023-2025 წლებზე (ათას ლარში)
	03 01		260.0	1,088.4
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	აბაშის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „აბაშის კეთილმოწყობა“			

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	მუნიციპალიტეტში დასუფთავების ღონისძიებების განხორციელება ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს პროგრამის ფარგლებში დასუფთავების სამსახური ახორციელებს ქალაქისა და მუნიციპალიტეტში შემავალ ადმინისტრაციულ ერთეულებიდან ნაგვის ნარჩენების მოგვროვებას და გატანას, რომელსაც ემსახურება 3 ერთეული ნაგვის გამტანი სპეც ავტომანქანა. სამუშაოები ხორციელდება მუნიციპალიტეტის შემდეგ სოფლებში: ნორიო, სამიქაო, მაიდანო, გეზათი, ონტოფო, ძვ/აბაშა, ტყვირი, ნაესაკოვო, ქოლოზანი, მარანი, სუჯუნა, ზანათი, წყემი, სეფიეთი შერგოვებული ნარჩენი გადის ქ. სამტრედიის ტერიტორიის არსებულ ნაგავსაყრელზე. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ყოველდღიურად გადის 30მ/კუბ ნარჩენი რაზეც ყოველდღიურად მუშაობს 3 ნაგავმზიდი სპეც ავტომანქანა.				
მოსალოდნელი შედეგი	მთელი წლის მანძილზე შეუფერხებლად განხორციელდება ქალაქ აბაშის დასუფთავება და ქალაქიდან ნარჩენის გატანა, დასუფთავდება მუნიციპალიტეტის სხვა ტერიტორიები.				
შედეგის შეფასების ინდიკატორი	#	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)
	1	ტერიტორიის დასუფთავება	10000	14	5%
	2	ნარჩენების გატანა	165	450	8%

განათლება

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, ინვენტარით უზრუნველყოფა.

ათას ლარში

პროგრამული კოდი	დასახელება	2020 ფაქტი	2021 გეგმა	2022 გეგმა	2023 პროგნოზი	2024 პროგნოზი	2025 პროგნოზი
04 00	განათლება	3,290.2	1,714.2	1,300.0	1,610.4	1,610.4	1,610.4
04 01	სკოლამდელი განათლების დაფინანსება	1,067.2	1,320.0	1,300.0	1,610.4	1,610.4	1,610.4
04 02	საჯარო სკოლების დაფინანსება	2,221.3	394.2				
04 03	სკოლამდელი საადმინისტრაციო დაწესებულებების რეაბილიტაცია	1.7					

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სკოლამდელი განათლების დაფინანსება	2022 წლის დაფინანსება (ათას ლარში)	დაფინანსება 2023-2025 წლებზე (ათას ლარში)	
	04 01		1,300.0	4,831.2	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ აბაშის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულება				
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბაღის ასაკის ბავშვებისათვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობა წარმოადგენს, დღეის მდგომარეობით ფუნქციონირებს 20 საბავშვო ბაღი, სადაც ჩარიცხულია 610 აღსაზრდელი, რაც მოიცავს ჩასარიცხ მსურველთა 85%-ს, საძინებელი პირობების უქონლობის გამო 2-3 წლამდე ასაკის ბავშვების მიღება საბავშვო ბაღებში ვერ ხერხდება, კონტიგენტის ჩარიცხვისას უპირატესობა ენიჭება მრავალშვილიან, სოციალურად დაუცველ ოჯახებს, აბაშის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანებაში დასაქმებულია 224 თანამშრომელი; მ.შ 19 საბავშვო ბაღის უფროსი; აღმზრდელ-პედაგოგი და შემცველი 54; აღმზრდელი თანამშემწე 29; მზარეული 26 და სხვა ადმინისტრაციული და დამხმარე ტექნიკური პერსონალი; 3-6 წლის ასაკის ბავშვთა სრული ჩართვა სკოლამდელ დაწესებულებებში, უსაფრთხო გარემოს შექმნა, ჯანსაღი კვება, სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროცესის წარმართვა სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ კანონის, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისა და მოქმედი სტანდარტების შესაბამისად. ხორციელდება სასკოლო მზაობის პროგრამა. სახანძრო უსაფრთხოების წესების დაცვა და რეკომენდაციების შესაბამისად საბავშვო ბაღების შიდა სივრცეების მოწყობა. კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით სანიტარულ-ჰიგიენური პირობების უზრუნველყოფა. სამედიცინო ფსიქოლოგოგიური და ლოგოპედური მოსახურეობა, საბავშვო ბაღებში HACCP სისტემის დანერგვა, პერსონალთა ინდივიდუალური კარადებით უზრუნველყოფა. აღმზრდელ-პედაგოგთა სასერთიფიკაციო ტრენინგებში მონაწილეობა. საბავშვო ბაღების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოწყობა მოქმედი სტანდარტების მოთხოვნების გათვალისწინებით;</p> <p>ბავშვთა კვება ძირითადად შეესაბამება რეგლამენტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს; კვება არის სამჯერადი; სანიტარულ-ჰიგიენური პირობები პასუხობს მოქმედ სტანდარტებს, ს/ბაღები უზრუნველყოფილი არიან ცივი და ცხელი წყლით, წელიწადში ერთჯერ სწავლის დაწყებამდე ტარდება წყლის ლაბორატორიული გამოკვლევა, გაზიფიცირებულია 5 ს/ბაღი, ა(ა)იპ სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულების თანამშრომლებისათვის შესაბამისი სამუშაო პირობების შექმნა</p>				
მოსალოდნელი შედეგი	<p>მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში სააღმზრდელო პროცესის წარმართვისათვის უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი პირობებით; მათ შორის: სააღმზრდელო დაწესებულებებში დაცული იქნება სახელმწიფოს მიერ დადგენილი სტანდარტების უმეტესობა დაცული იქნება სანიტარული და ჰიგიენური, კვების ორგანიზებისა და კვების რაციონის ნორმები, სააღმზრდელო დაწესებულებებში და ა(ა)იპ სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრში დასაქმებული ადმინისტრაციული და სააღმზრდელო პერსონალი უზრუნველყოფილი იქნება სამუშაო პირობებით.</p> <p>მუნიციპალიტეტში არსებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მომსახურებით წლის განმავლობაში სარგებლობს მუნიციპალიტეტში მცხოვრები 610-მდე შესაბამისი ასაკის ბავშვი, რაც მუნიციპალიტეტში მცხოვრები ამ ასაკის ბავშვების 80%- შეადგენს.</p>				
შედეგის შეფასების ინდიკატორი	#	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)
	1	აღმზრდელ-პედაგოგთა სერტიფიცირება	ყველა აღმზრდელ-პედაგოგი სერთიფიცირებულია		3%
	2	შშმ ბავშვების ჩართულობა ს/ბაღებში	შექმნილია შშმ ბავშვების ადაპტირებისათვის შესაბამისი პირობები		3%
3	ს/ბაღების უზრუნველყოფა მუსიკალური ინსტრუმენტებით	ძირითადად საბავშვო ბაღებისათვის შექმნილია მუსიკალური ინსტრუმენტი	ყველა საბავშვო ბაღი უზრუნველყოფილია მუსიკალური ინსტრუმენტით		3%

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ამ ტრადიციების ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება.

შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ღონისძიებების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება, ასევე ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ჩატარება.

ათას ლარში

პროგრამული კოდი	დასახელება	2020 ფაქტი	2021 გეგმა	2022 გეგმა	2023 პროგნოზი	2024 პროგნოზი	2025 პროგნოზი
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი	895.3	984.9	890.0	1,289.5	1,239.5	1,239.5
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	290.3	332.0	295.0	475.0	425.0	425.0
05 01 01	სპორტის ცენტრის ხელშეწყობა	206.2	220.0	200.0	350.0	300.0	300.0
05 01 02	ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა	84.1	100.0	90.0	115.0	115.0	115.0
05 01 03	სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია						
05 01 04	სპორტული ღონისძიებები		12.0	5.0	10.0	10.0	10.0
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	605.0	649.9	590.0	794.5	794.5	794.5
05 02 01	კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებების ხელშეწყობა	525.2	598.9	550.0	740.5	740.5	740.5
05 02 02 01	ხელოვნების სკოლა						
05 02 02 01	კულტურის ცენტრი						
05 02 02	ტელერადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	28.3	35.0	30.0	36.0	36.0	36.0
05 02 03	სხვა კულტურული ღონისძიებები	1.5	16.0	10.0	18.0	18.0	18.0
05 02 04	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	50.0					

პროგრამული კოდი	დასახელება	2020 ფაქტი	2021 გეგმა	2022 გეგმა	2023 პროგნოზი	2024 პროგნოზი	2025 პროგნოზი
05 03	ახალგაზრდობის მხარდაჭერა		3.0	5.0	20.0	20.0	20.0

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტის ცენტრის ხელშეწყობა			2022 წლის დაფინანსება (ათას ლარში)	დაფინანსება 2023-2025 წლებზე (ათას ლარში)
	05 01 01				200.0	950.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ აბაშის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარების ცენტრი					
